

GCloud-ით მომსახურების შეთანხმება

„ქლაუდით“ მომსახურების შეთანხმება წარმოადგენს, ერთი მხრივ, ა(ა)იპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“-სა (საიდენტიფიკაციო კოდი: 204931654, მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ. 4ა, 0108) (შემდგომში - *GCloud-ის მიმწოდებელი*) და, მეორე მხრივ, GCloud-ის მომხმარებელს (შემდგომში - *მომხმარებელი*) შორის GCloud-ის მიწოდების წესებსა და პირობებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას.

GCloud-ით მომსახურება

- GCloud-ის მიმწოდებელი მომხმარებლებს სერვისის სახით სთავაზობს საჯარო გამოყენების „ქლაუდით“ მომსახურებას და სხვა ღია კოდის პროგრამულ უზრუნველყოფას. აღნიშნული სერვისები ხელმისაწვდომია 24/7 რეჟიმში, შესაბამისი მხარდაჭერის სამუშაოებით. მომხმარებელი წინასწარ იქნება ინფორმირებული დაგეგმილი მხარდაჭერის სამუშაოების განხორციელების თაობაზე. კონკრეტული ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია დამატებითი ტექნიკური მხარდაჭერის მოთხოვნა, რაც გახდება GCloud-ის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დამატებითი შეთანხმების საგანი.
- GCloud-ის მიმწოდებელი, GCloud-ის მომხმარებლის ინტერფეისის მეშვეობით (ხელმისაწვდომია: <https://my.gcloud.ge>, <https://console.gcloud.ge>) საჯარო გამოყენების „ქლაუდის“ მომსახურების გასაწევად, თავად უზრუნველყოფს გარემოს, პერსონალის, აღჭურვილობის, პროგრამული უზრუნველყოფისა და სხვა საჭირო რესურსების არსებობას.
- GCloud-ის მიმწოდებლის მიერ შესაძლებელია სხვა (არა GCloud-თან დაკავშირებული) სერვისების მიწოდება ან GCloud სერვისის საშუალებით სხვა ისეთ სერვისებთან (არა GCloud სერვისი) წვდომის უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა აუცილებლად მოითხოვდეს მესამე მხარის პირობებზე დათანხმებას. ამგვარ სხვა სერვისებთან წვდომა ან მათი გამოყენება ნიშნავს მესამე მხარის პირობებზე მომხმარებლის თანხმობას. GCloud-ით მომსახურების შეთანხმება არ შეიძლება განხილულ იქნას სხვა (არა GCloud-თან დაკავშირებული) სერვისების მიწოდების თაობაზე შეთანხმებად. GCloud-ის მიმწოდებელი არ წარმოადგენს მესამე მხარესთან დადებული შეთანხმების მხარეს და არ არის პასუხისმგებელი ამგვარი სერვისების მიწოდებაზე.
- მომხმარებელი ეთანხმება GCloud-ის მომსახურებისთვის დადგენილ ფასების პოლიტიკას, რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებლის ინტერფეისში. GCloud-ის მიმწოდებელი იტოვებს უფლებას, შეცვალოს ფასების პოლიტიკა კომპანიის ან/და ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, შეტყობინების გარეშე.
- GCloud-ის მიმწოდებელი უზრუნველყოფს აპარატურას, პროგრამულ პროდუქტებს და კავშირს წვდომისა და გამოყენების მიზნით, მომხმარებლის სპეციფიკური ვებ-მისამართების URL ჩათვლით.

- მომხმარებლის მიერ GCloud მომსახურებებთან წვდომა შემოსაზღვრულია მისი უფლებამოსილებათა ფარგლებით. მომხმარებელი პასუხისმგებელია მისი ანგარიშის მონაცემებით GCloud მომსახურებებთან სხვა პირის მიერ განხორციელებულ წვდომაზე. ნებისმიერი იურისდიქციის ფარგლებში დაუშვებელია GCloud მომსახურებების უკანონო, არამართლზომიერი, უხამსი, შეურაცხმყოფელი ან თაღლითური შინაარსის შექმნისა თუ ისეთი საქმიანობისთვის გამოყენება, როგორცაა: ზიანის მიყენება ან მისი წახალისება, ქსელის ან სისტემის მთლიანობის, ნორმალური ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების ხელყოფა, ფილტრების გვერდის ავლა, არასასურველი, შეურაცხმყოფელი ან ცრუ შეტყობინებების, ვირუსებისა და მავნე კოდის დაგზავნა, GCloud-ის მიმწოდებლისა და სხვა მესამე პირთა უფლებების ხელყოფა. ამას გარდა, მომხმარებელმა არ უნდა გამოიყენოს GCloud-ის მომსახურებები, თუ „ქლაუდ“ მომსახურების არასწორმა გამოყენებმა შეიძლება გამოიწვიოს გარდაცვალება, სხეულის, ქონების ან გარემოს დაზიანება. კლიენტს ეკრძალება: ა) GCloud-ის მომსახურების ნებისმიერი კომპონენტის არსებითად შეცვლა; ბ) GCloud-ის მომსახურებებთან პირდაპირი წვდომა მიაწოდოს ან მიყიდოს მესამე პირს, მისი საწარმოს გარეთ; გ) დააკავშიროს GCloud-ის მომსახურებები სხვა დამატებით კომპონენტთან კომერციულად ხელმისაწვდომი და მისი სახელის ქვეშ ბრენდირებული გადაწყვეტის შესაქმნელად, ასევე ბაზარზე მომხმარებლებისათვის შესათავაზებლად, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

- GCloud-ის მომსახურებები ან მათი ფუნქციონალი საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია წინასწარი დათვალიერების რეჟიმში (Preview), შეზღუდული ან გაშვების წინა ეტაპზე არსებული ფუნქციონალით, ან კიდევ - შეზღუდული დროით ფუნქციონირების რეჟიმით (მაგალითად: ბეტა, საცდელი, უსასყიდლო ან წინასწარ დათვალიერება). წინასწარი დათვალიერების რეჟიმში მიწოდებული მომსახურება არ მოიცავს მომსახურების მიწოდების შეთანხმებას. ამგვარი მომსახურება ასევე, შესაძლოა არ სარგებლობდეს მხარდაჭერით, ხოლო GCloud-ის მიმწოდებელმა კი ნებისმიერ დროს შეცვალოს ან შეწყვიტოს მისი მიწოდება, შეტყობინების გარეშე. მიმწოდებელი, ასევე, არ არის ვალდებული, შექმნას წინასწარი დათვალიერების რეჟიმში მიწოდებული ან მისი ექვივალენტური მომსახურება.

შინაარსისა და მონაცემების დაცულობა

- ამ შეთანხმებაში „შინაარსი“ მოიცავს ყველა მონაცემს, პროგრამულ უზრუნველყოფასა და ინფორმაციას, რომელსაც მომხმარებელი ან მის მიერ ავტორიზებული პირი ანთავსებს და აწვდის GCloud მომსახურებების ფარგლებში. ამ შეთანხმების მიზნებისათვის GCloud მომსახურებების გამოყენება გავლენას არ ახდენს მომხმარებლის საკუთრების ან ლიცენზიის უფლებაზე. GCloud-ის მიმწოდებელი, მისი პარტნიორები ან/და კონტრაქტორები უფლებამოსილნი არიან, ჰქონდეთ წვდომა და გამოიყენონ „შინაარსი“ მხოლოდ GCloud მომსახურებების მიწოდებისა და მართვის მიზნით. GCloud-ის მიმწოდებელი „შინაარსს“ მიიჩნევს კონფიდენციალურ ინფორმაციად და იღებს ვალდებულებას, არ გაუშვავდეს ის სხვა პირებს, გარდა მისი დასაქმებულებისა და კონტრაქტორებისა, მხოლოდ სერვისის მიწოდების აუცილებლობიდან გამომდინარე.

- მომხმარებელი პასუხისმგებელია „შინაარსის“ გამოყენებასთან, მიწოდებას, შენახვას ან/და სხვაგვარ დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო უფლებისა და ნებართვის მოპოვებაზე, რათა გადასცეს ის GCloud-ის მიმწოდებელს, მის პარტნიორებსა და

კონტრაქტორებს. მომხმარებელი ხელმისაწვდომს ხდის მონაცემებს, ხოლო პირთა შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური მონაცემების ან რეგულირებას დაქვემდებარებული სხვა ინფორმაციის, მიწოდებამდე, მოიპოვებს თანხმობას (ასეთის საჭიროებისას). GCloud-ის მიმწოდებელი არ წარმოადგენს „შინაარსის“ ფარგლებში მოცემული პერსონალური მონაცემების დამმუშავებელს. თუ „შინაარსის“ ფარგლებში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს საკანონმდებლო თუ სამთავრობო რეგულაციის საგანს ან საჭიროებს უსაფრთხოების ზომების გატარებას, რომელიც სცდება GCloud მომსახურებების ფარგლებს, მომხმარებელმა „ქლაუდში“ არ უნდა განათავსოს/ხელმისაწვდომი გახადოს ამგვარი „შინაარსი“. GCloud-ის მიმწოდებელთან დამატებით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია უსაფრთხოების დამატებითი ან/და სხვა სახის ზომების გატარება.

- GCloud-ის მიმწოდებელი უკან დააბრუნებს ან GCloud-ის კომპიუტერული რესურსებიდან წაშლის „შინაარსს“ მომსახურების ვადის გასვლის, გაუქმების ან მომხმარებლის მოთხოვნისთანავე. GCloud-ის მიმწოდებელმა შესაძლოა დაადგინოს საფასური მომხმარებლის მოთხოვნით განხორციელებულ აქტივობებზე (მაგ.: „შინაარსის“ სპეციფიკური ფორმატით მიწოდება). მიმწოდებელი არ ახდენს „შინაარსის“ დაარქივებას, თუმცა ცალკეული ინფორმაცია შესაძლოა GCloud მომსახურების არქივირების ფაილებში, ამ ფაილების ვადის გასვლამდე ინახებოდეს, მიმწოდებლის სარეზერვო ასლების შენახვის პრაქტიკის თანახმად.

- ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნის გათვალისწინებით, GCloud-ის მიმწოდებელმა, მომხმარებელმა ან მათმა პარტნიორმა შესაძლოა გააფორმონ დამატებითი შეთანხმება „შინაარსში“ მოცემული პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხზე. მხარეები თანხმდებიან, რომ ამგვარი დამატებითი შეთანხმებები გახდება ამ ძირითადი შეთანხმების ნაწილი. საჭიროების შემთხვევაში, მხარეები უზრუნველყოფენ მათი პარტნიორების თანხმობას ამ საკითხზე.

ცვლილებები

- მომხმარებელი აცნობიერებს, რომ GCloud-ის მიმწოდებელმა შესაძლოა პერიოდულად შეცვალოს GCloud მომსახურებები, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. შეცვლილი ვერსია, ცვლილების თარიღის მიხედვით, ანაცვლებს წინა, არსებულ ვერსიებს. ნებისმიერი ასეთი ცვლილება მიზნად ისახავს არსებული GCloud მომსახურებების გაუმჯობესებას ან დაზუსტებას, დამატებითი მახასიათებლისა და ფუნქციონალის მიწოდებას. ცვლილებები გავლენას არ ახდენენ GCloud მომსახურებების უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის ფუნქციონალზე.

გარანტიები

- GCloud-ის მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ აწვდის GCloud მომსახურებებს გონივრული წინდახედულებისა და კომერციულ სფეროში საჭირო უნარების გათვალისწინებით. GCloud მომსახურებების ვადის გასვლა იწვევს გარანტიის მოქმედების ვადის გასვალას.

- GCloud-ის მიმწოდებელი არ იძლევა გარანტიას GCloud მომსახურებების უწყვეტი ან შეცდომებისაგან თავისუფალი ოპერირების შესახებ, ასევე იმის შესახებ, რომ გამოასწორებს ყველა დეფექტს, ან თავიდან აიცილებს მესამე მხარის მიერ გამოწვეულ შეფერხებებს ან მესამე პირების უნებართვო წვდომას. აღნიშნული წარმოადგენს GCloud-ის მიმწოდებლის ექსკლუზიურ გარანტიას და ანაცვლებს ყველა სხვა სახის გარანტიას, მათ შორის, ნაგულისხმევს ან დამაკმაყოფილებელი ხარისხის, ვარგისიანობის, დაურღვევლობისა და შესაბამისობის პირობებს. GCloud-ის მიმწოდებლის გარანტია არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ არასწორი გამოყენება, მოდიფიკაცია, დაზიანება ან უფუნქციოება არ არის გამოწვეული GCloud-ის მიმწოდებლის ქმედებით ან თავად მომხმარებელმა არ შეასრულა მიმწოდებლის მიერ მითითებული ინსტრუქციები. წინასწარი დათვალისწინების რეჟიმში არსებული მომსახურება (Preview service) და მესამე მხარის მომსახურება ამ შეთანხმების ფარგლებში ხელმისაწვდომია არსებული სახით, რაიმე გარანტიის გარეშე. მესამე მხარემ შესაძლოა მომხმარებელს წარუდგინოს საკუთარი გარანტია.

ხარჯები და ანგარიშსწორება

- GCloud მომსახურებები, მათ შორის, ფასიანი მესამე მხარის სერვისები, წარმოადგენენ წინასწარ ასანაზღაურებელ მომსახურებას. მომხმარებელი აცხადებს თანხმობას, რომ გადაიხადოს GCloud-ის გამოყენების დასაწყებად ან უკვე გამოყენებული GCloud მომსახურებების შესანარჩუნებლად აუცილებელი ყველა ხარჯი წინასწარ, გადახდისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე. მიმწოდებელი ატყობინებს მომხმარებელს გადახდის ვადის გასვლის თაობაზე 24 საათით ადრე. მომსახურების შესანარჩუნებლად, მომხმარებელი ვალდებულია ვადის გასვლამდე გადაიხადოს ყველა შესაბამისი ხარჯი. სხვა შემთხვევაში, GCloud-ის ფასიანი მომსახურებები შეჩერდება და აღარ იქნება ხელმისაწვდომი. მომსახურების მიმწოდებელი მომხმარებელს გადახდისათვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რათა აღდგეს შეჩერებული მომსახურება, თუმცა ის არ აგებს პასუხს იმ შეფერხებისა და ზიანისათვის, რაც გამოიწვია გადაუხდელობის გამო მომსახურების იძულებითმა შეჩერებამ.

პასუხისმგებლობა

- GCloud-ის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისათვის შემოსაზღვრულია მომხმარებლის მიერ სერვისის ფარგლებში (მიუხედავად საფუძვლისა) ანაზღაურებული ნებისმიერი ფაქტობრივი და პირდაპირი ზიანის ოდენობით (3 თვის ხარჯის ოდენობის ფარგლებში). მიმწოდებელი პასუხს არ აგებს ფაქტობრივი დანაკლისის, შემთხვევითი, ჯარიმის დაკისრებით გამოწვეული ზარალის, არაპირდაპირი ან ირიბი ეკონომიკური ზიანისთვის, ასევე მიუღებელი შემოსავლისა და მოგების, ბიზნესის, ფასეულობის, შემოსავლის, საქმიანი რეპუტაციის ან მოსალოდნელი მოგების დაკარგვის გამო. აღნიშნული პასუხისმგებლობის გამორიცხვის დებულება ეხება GCloud-ის მიმწოდებელს, მის პარტნიორებს, კონტრაქტორებს და მიმწოდებლებს.

- GCloud-ის მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი მესამე მხარის პროდუქტების, სერვისებისა და ობიექტების (რომელთა მიმწოდებელსაც ის არ წარმოადგენს) გამო წარმოშობილ მოთხოვნებზე; ასევე არ აგებს პასუხს მომხმარებლის მიერ „ქლაუდში“

განთავსებული „შინაარსის“, მასალის, დიზაინისა და სხვა სპეციფიკაციის გამო კანონმდებლობისა და სხვა პირთა უფლებების დარღვევაზე.

მოქმედების ვადა და შეწყვეტა

- GCloud მომსახურებების ამოქმედების ვადა იწყება GCloud-ის მიმწოდებლის მიერ GCloud-თან წვდომის შესაძლებლობის შესახებ მომხმარებლის შეტყობინებით. GCloud მომსახურებები სრულად ხელმისაწვდომია მხოლოდ წინასწარი გადახდის საფუძველზე, ახალი გადახდის ვადის გასვლამდე. გადახდის ვადის გასვლისას, შემდგომ გადახდამდე GCloud მომსახურებები შეწყდება ან/და შეიზღუდება.
- GCloud-ის მიმწოდებელს შეუძლია, საჭიროებისამებრ, დროებით შეაჩეროს ან შეზღუდოს მომხმარებლის მიერ სერვისებით სარგებლობა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებელი არსებითად არღვევს ვალდებულებებს, ირღვევა უსაფრთხოება, კანონი/რეგულაცია ან ამ შეთანხმების პირობები. თუ შეჩერების გამომწვევი მიზეზი გონივრულ ფარგლებში შესაძლოა აღმოიფხვრას, GCloud-ის მიმწოდებელი მომხმარებელს უგზავნის შეტყობინებას და იმ ქმედებების ჩამონათვალს, რომელიც უნდა განახორციელოს სერვისის აღსადგენად. თუ მომხმარებელი ამგვარ ქმედებებს არ განახორციელებს გონივრულ ვადაში, მიმწოდებელი წყვეტს მომსახურებების მიწოდებას. შეთანხმების არსებითად დაღვევად განიხილება მომსახურების საფასურის გადაუხდელობა.
- GCloud-ის მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს GCloud-ის მომსახურებები, GCloud-ის ანგარიშის დეაქტივაციის გზით. ანგარიშზე განთავსებული „შინაარსი“, ასევე მასთან დაკავშირებული ყველა მასალა და მონაცემი ავტომატურად წაიშლება და შესაძლოა აღდგენას არ დაექვემდებაროს. შეწყვეტის დროს, მომხმარებლის მიერ უკვე გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

კანონმდებლობა და გეოგრაფიული არეალი

- ნებისმიერი იურისდიქციის ფარგლებში თითოეული მხარე პასუხისმგებელია მოქმედ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან თანხვედრაზე, კერძოდ მათი ბიზნეს-საქმიანობის, „შინაარსში“ შემავალი ინფორმაციის, იმპორტ-ექსპორტის მარეგულირებელ და ეკონომიკური სანქციების, თავდაცვითი ტექნოლოგიებით ვაჭრობის რეჟიმის დამდგენ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- მხარეები თანხმდებიან საქართველოს კანონმდებლობის გამოყენებაზე სამართლის კოლიზიის პრინციპის გათვალისწინების გარეშე. მხარეთა უფლება-მოვალეობები მოქმედებს მომხმარებლის იურიდიული მისამართის ქვეყანაში. თუ მომხმარებელი ან სხვა პირი მოახდენს „შინაარსის“ ექსპორტს ან იმპორტს, ასევე GCloud-ის მომსახურებათა ცალკეულ ნაწილს გამოიყენებს მომხმარებლის იურიდიული მისამართის ქვეყნის გარეთ, GCloud-ის მიმწოდებელი არ შეასრულებს იმპორტიორის ან ექსპორტიორის ფუნქციას, თუ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა/პრეტენზია უნდა გადაწყდეს საქართველოს სასამართლოთა მიერ.

ზოგადი დებულება

- GCloud-ის მიმწოდებელი არის დამოუკიდებელი კონტრაქტორი და არ წარმოადგენს მომხმარებლის აგენტს, საწარმოს პარტნიორს, თანადამფუძნებელს ან თავდებს, არ ასრულებს მომხმარებლისთვის სხავდასხვა რეგულაციითა და ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში დაკისრებულ ვალდებულებებს. GCloud-ის მიმწოდებელი წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროვაიდერს. მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი მითითება, რჩევა ან თავად GCloud მომსახურებები არ განიხილება სამედიცინო, კლინიკურ, იურიდიულ, საბუღალტრო ან სალიცენზიო პროფესიულ რჩევად. მომხმარებელი და მისი ავტორიზებული პირები თავად აგებენ პასუხს პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში GCloud მომსახურებათა მოხმარებასა და ექსპერტული რჩევის მიღებაზე. მომხმარებელი პასუხისმგებელია GCloud მომსახურებათა, ასევე მესამე მხარის (არა GCloud-თან დაკავშირებული) მომსახურების გამოყენებაზე. თითოეული მხარე ვალდებულია, მისი კონტრაქტორების და პერსონალისათვის დავალებებისა და მიმართულებების განსაზღვრაზე, ასევე მათ ზედამხედველობასა და კომპენსაციის გადახდაზე.